

შპს მედ-დიაგნოსტიკის
ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	-2-
2. ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	-7-
2.2 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება	-8-
2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	-9-
2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	-10-
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	-11-

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მედ-დიაგნოსტიკას დამფუძნებლებს დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მედ-დიაგნოსტიკას ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მედ-დიაგნოსტიკას ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს მედ-დიაგნოსტიკასაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა

მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს შპს მედ-დიაგნოსტიკას ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს მედ-დიაგნოსტიკას ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს მედ-დიაგნოსტიკას ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული

არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს მედ-დიაგნოსტიკას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს მედ-დიაგნოსტიკას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მედ-დიაგნოსტიკა უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ

აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე. (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახოზაძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“

შპს მედ-დიაგნოსტიკას ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური
ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

		31-Dec-22	31-Dec-21
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	44,249	1,900,362
მოთხოვნები მიწოდებიდან		3,580,162	7,349,755
გადახდილი ავანსები		14,865	241,970
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	572,668	924,823
გაცემული სესხები		1,666,451	959,161
საგადასახადო აქტივი		1,411	0
სხვა მიმდინარე აქტივები		3,330	781
სულ მიმდინარე აქტივები		5,883,137	11,376,852
ძირითადი საშუალებები	6	4,021,270	4,225,860
არამატერიალური აქტივები	7	24,744	32,535
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,046,014	4,258,395
სულ აქტივები		9,929,150	15,635,247
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		429,818	643,798
მიღებული ავანსები		0	1,332
საგადასახადო ვალდებულებები		0	261,688
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		1,190	1,134
მიმდინარე ვალდებულებები		431,008	907,952
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		310,648	1,967,677
გრძელვადიანი ვალდებულებები		310,648	1,967,677
სულ ვალდებულებები		741,656	2,875,630
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		9,187,494	12,759,617
მთლიანი კაპიტალი		9,187,494	12,759,617
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		9,929,150	15,635,247

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი

შპს მედ-დიაგნოსტიკას მთავარი ბუღალტერი

_____ *ნათია ცაბუტაშვილი*

_____ *ვალენტინა გელოვანი*

**შპს მედ-დიაგნოსტიკას ინდივიდუალური სრული შემოსავლისა და მოგება-
ზარალის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
(თანხები მოცემულია ლარებში)

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	11,359,268	31,726,486
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	<u>10</u> -6,195,867	- 10,564,168
Gross profit	5,163,401	21,162,318
ხელფასის ხარჯი	-5,217,288	-5,705,747
მიწოდების ხარჯი	-516,191	-1,783,911
კომუნალური და საოფისე ხარჯები	-226,417	-258,250
საკონსულტაციო ხარჯი	-33,688	-123,876
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები	-152,511	-253,028
ცვეთის ხარჯი	-610,837	-533,199
საგადასახადო ხარჯი	-10,292	-18,701
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	-889,479	-612,406
EBITDA	-2,493,303	11,873,200
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	-65,521	-107,130
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	-42,877	-16,001
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	99,200	-1,236,039
Net profit	-2,502,499	10,514,030
მოგების გადასახადი	-123,291	-211,690
Net profit	-2,625,790	10,302,340

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი

შპს მედ-დიაგნოსტიკას მთავარი ბუღალტერი

_____ **ნათია ცაბუტაშვილი**

_____ **ვალენტა გელოვანი**

**შპს მედ-დიაგნოსტიკას ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური
ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,090,823	6,310,070
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	14,485,457	25,752,234
გადახდილი მომწოდებლებზე	-5,693,549	-9,898,789
გადახდილი ხელფასები	-5,484,011	-7,005,460
გადახდილი გადასახადები	-2,217,074	-2,537,916
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-996,502	-3,261,959
სესხის გაცემა	-904,008	-1,511,161
გაცემული სესხისა და პროცენტის მიღება	116,000	555,242
ძირითადი საშუალებების შეძენა	-208,494	-2,306,040
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-1,898,565	-2,181,453
მიღებული სესხი	-922,431	-804,869
გადახდილი სესხი და %	-112,412	-236,982
დივიდენდის გაცემა	-863,721	-1,139,601
სავალუტო კურსის ეფექტი	-51,869	-9,750
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	-51,869	-9,750
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-1,856,113	856,907
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,900,362	1,043,454
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	44,249	1,900,362

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი

შპს მედ-დიაგნოსტიკას მთავარი ბუღალტერი

_____ **ნათია ცაბუტაშვილი**

_____ **ვალინა გელოვანი**

შპს მედ-დიაგნოსტიკას კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
31-Dec-19	0	0	0
შენატანები კაპიტალში			
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		3,656,857	3,656,857
გადახდილი დივიდენდი		0	0
31-Dec-20	0	3,656,857	3,656,857
შენატანები კაპიტალში			
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		10,302,340	10,302,340
გადახდილი დივიდენდი		1,199,580	1,199,580
31-Dec-21	0	12,759,617	12,759,617
შენატანები კაპიტალში			
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		-2,625,790	-2,625,790
გადახდილი დივიდენდი		946,332	946,332
31-Dec-21	0	9,187,494	9,187,494

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი

შპს მედ-დიაგნოსტიკას მთავარი ბუღალტერი

_____ ნათია ცაბუტაშვილი

_____ ვალინა გელოვანი

შპს მედ-დიაგნოსტიკას

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს მედ-დიაგნოსტიკა (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, კაჭრეთის ქ., N 50

შპს მედ-დიაგნოსტიკას საქმიანობის სფეროს წარმოადგენს კოდი 86220 სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები.

კომპანიის დამფუძნებელი არის:

ფიზიკური პირი ნათია ცაბუტაშვილი

ფიზიკური პირი ზაალ კოკაია

კომპანიის დირექტორია: **ნათია ცაბუტაშვილი**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველს წარმოადგენს დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

უნდა ავლნიშნოთ, რომ კომპანიის გაუნაწილებელმა მოგებამ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 9.187 ათასი ლარი.

შესაბამისად ვთვლით, რომ გვაქვს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ კომპანია ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

4.2 ძირითადი საშუალებები

4.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის დაჩქარებული მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	30 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	10 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	6 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე

4.2.2 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

4.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

4.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

4.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოებს ბასს 39-ის მიხედვით.

4.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

4.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

4.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს

„კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

4.6 გადასახადები

4.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

4.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

4.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძველად უდევს აღნიშნული

მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული
დავალიანების არსებობა.

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები და ნაგებობები	სამედიცინო აპარატურა	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	ტრანსპორტი	სხვა	სულ
31.12.2020 წმინდა საბალანსო ღირებულება	0	2,059,746	190,293	112,719	133,200	2,495,958
შესყიდვები	54,109	645,289	600,684	531,009	478,361	2,309,453
ჩამოწერა/რეალიზაცია				42,948		42,948
31.12. 2021 აკუმულირებული ცვეთა	1,543	354,216	101,957	28,789	50,098	536,602
31.12.2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	52,566	2,350,820	689,020	571,991	561,463	4,225,860
შესყიდვები		129,011	74,133		210,447	413,591
ჩამოწერა/რეალიზაცია				13,530		13,530
31.12. 2022 აკუმულირებული ცვეთა	2,682	359,278	101,957	52,362	88,372	604,651
31.12.2022 წმინდა საბალანსო ღირებულება	49,884	2,101,238	673,252	511,234	685,663	4,021,270

7. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამები	სულ
31 დეკემბერი 2020 წმინდა საბალანსო ღირებულება	0	0	0
შესყიდვები	21,001	13,266	34,267
31 დეკემბერი 2021 აკუმულირებული ცვეთა	1,050	682	1,732
31 დეკემბერი 2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	19,951	12,584	32,535
შესყიდვები	0	0	0
31 დეკემბერი 2022 აკუმულირებული ცვეთა	4,830	2,960	7,790
31 დეკემბერი 2022 წმინდა საბალანსო ღირებულება	15,121	9,624	24,744

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022 წელი	2021 წელი
ნაღდი ფული საღაროში	2,636	4,135
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,636	4,135
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	42,613	1,896,227

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	42,535	1,560,046
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	78	336,181
სულ	44,249	1,900,362

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022 წელი	2021 წელი
საქონელი	0	0
ნედლეული და მასალები	572,668	924,823
სულ	572,668	924,823

10. თვითღირებულების ელემენტები

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
მასალების დანახარჯები/შემენა	3,466,479	4,837,674
ნიმუშების ამღების სახარჯი მასალები	762,586	743,501
პირადი დაცვის საშუალებები		777,501
ნიმუშების ამღების პირდაპირი ხელფასი	322,085	1,367,174
ლაბორატორიის პირდაპირი ხელფასები	750,017	1,030,546
იჯარა	359,283	431,077
მივლინება	4,816	18,454
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი	37,550	21,664
სადეზინფექციო ხარჯი	23,370	66,825
ტრანსპორტირების ხარჯი	469,681	1,262,276
გაყიდული/შემენილი საქონელი		7,476
სულ	6,195,867	10,564,168

11. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით (არასავაჭრო განყოფილებების თანამშრომლებისათვის) და შერეული, ფიქსირებულს + საპროცენტო ნაწილი განაკვეთით. ფიქსირებული განაკვეთი დამოკიდებულია შრომით ბაზარზე არსებული კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურებასა და კომპანიაში სამუშაო სტაჟზე.

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი:
ნათია ცაბუტაშვილი

საქმიანობის მიმოხილვა

„მედ-დიაგნოსტიკა“ არის ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ლაბორატორიული კვლევის განმახორციელებელი კომპანია, რომელიც დაარსდა 2019 წელს. მისი საქმიანობის სფეროა ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ლაბორატორიული კვლევის მეთოდების დანერგვა და ლაბორატორიული პროცედურების მართვა კომპეტენტური, პროფესიონალი პრაქტიკოსებით.

კომპანია ოპერირებს საქართველოს მასშტაბით. ვფლობთ 6 ფილიალს და დასაქმებული გვყავს 206 ადამიანი.

ბიზნეს მოდელი

ჩვენი კომპანია ცდილობს, რომ სერვისი მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს ინოვაციების დანერგვაზე და პაციენტების მხრიდან ხელმისაწვდომობაზე. ლაბორატორიისთვის მნიშვნელოვანია პაციენტებს შევთავაზოთ ევროპული სტანდარტის კვლევების ჩატარება საქართველოში, რომელთა ჩატარებაც მხოლოდ საზღვარგარეთ იყო შესაძლებელი. ეს დაკავშირებული იყო პაციენტისთვის პასუხის მოლოდინის უფრო დიდ დროსთან და მეტ ფინანსურ რესურსთან. ლაბორატორიის ბიზნეს მოდელი ითვალისწინებს, რაოდენ მნიშვნელოვანია პაციენტისთვის დროული პასუხი და ფინანსების ეკონომია, შესაბამისად მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენი მოდელი მოვარგოთ მომხმარებლების საუკეთესო ინტერესებს.

კომპანიის ბიზნეს მოდელი, ასევე, ითვალისწინებს რეგიონალური ჯანდაცვის განვითარებას და საქართველოს მასშტაბით მსხვილ რეგიონალურ დასახლებებში პაციენტებს სთავაზობს ლაბორატორიული სერვისების სრულ სპექტრს. რეგიონალური ლაბორატორიები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი სამეცნიერო მუშაკებით, რომელიც მუდმივად გადიან ტრენინგებსა და აქვთ მიღებული ევროპული განათლება მოლეკულური და კლინიკური დიაგნოსტიკის სფეროში. რეგიონალური განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელი რეგიონში მცხოვრებთ სთავაზობთ მაღალი ხარისხის მომსახურებას.

კომპანიის ღირებულებები

კომპანიის ძირითადი მიზანია ეფექტური, მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება, რომელიც დაინტერესებული მხარეების მოლოდინს ყოველთვის აჭარბებს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახურით თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.
-

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 11,359,268 ლარი. აქტივების ჯამური მოცულობა 2022 წლის ბოლოს შეადგენს 9,929,150 ლარს. კომპანიის ზარალმა 2022 წელს შეადგინა 2,625,790 ლარი.

კომპანია ოპერირებს საქართველოს მასშტაბით. ვფლობთ 6 ფილიალს და დასაქმებული გვყავს 206 ადამიანი.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია.

შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- **შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა**

კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპანია „მედ-დიაგნოსტიკა“-ის ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

- **თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება**

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე.

კომპანიაში შემუშავებულია თანამშრომელთა კარიერული ზრდის სისტემა, რაც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ არა მხოლოდ პროფესიულად (ჰორიზონზე), არამედ პოზიციურად (სტრუქტურაში ვერტიკალზე). აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ასევე თანამშრომლების კომპანიისადმი ლოიალობას და ამცირებს გადინების მაჩვენებელს.

- **თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები**

კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს ფინანსურ მოტივატორებს, როგორებიცაა:

- შემუშავებული საბონუსე სისტემა;
- ხელფასის მატების სისტემა;

ბაზარი, სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

ლაბორატორიული საქმიანობა და სამედიცინო ბაზარი სპეციფიური სფეროა. არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ჩვენს პოზიციონირებას ბაზარზე. ძირითადი ფაქტორები და დაინტერესებული მხარეები ჩვენი კომპანიის მიმართ გახლავთ: პაციენტი, სახელმწიფო, კორპორატიული პარტნიორები (საავადმყოფოები, კლინიკები). ჩვენსა და ჩვენს დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების შესახებ, და ხელშეკრულებები.

ბაზარი კონკურენტულად განვითარებულია. ბაზარზე არსებობს რამოდენიმე მსხვილი კომპანია და შედარებით პატარა კომპანიებიც. ანალიზების სპექტრი, რომელსაც სხვადასხვა ლაბორატორია პაციენტებს სთავაზობთ იდენტურია, თუმცა არსებობს სავაჭრო ნიშები, რომელშიც სხვადასხვა ლაბორატორია სპეციალიზირებული გახლავთ. ჩვენი კომპანიის ნიშა მოლეკულური გენეტიკის მიმართულება გახლავთ, რომელიც ქვეყნის მასშტაბით პაციენტებს ისეთი გენეტიკური კვლევების ჩატერების საშუალებას აძლევს, რომელიც მხოლოდ საზღვაგარეთ ტარდებოდა. კომპანია მუდმივად ცდილობს გაზარდოს კვლევების ასორტიმენტი. ჩვენს პოზიციას ბაზარზე ამყარებს არა მხოლოდ სტანდარტული კვლევები, არამედ უნიკალური ტესტ-სისტემები, რომელიც მხოლოდ ჩვენს ლაბორატორიაში არის დანერგილი.

რისკების მართვა

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის სრულფასოვანი ფუნქციონერებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ორგანიზაციაში არსებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს აქვთ ვალდებულება შეაფასონ საკუთარ დეპარტამენტში არსებული რისკები. შეფასება ხდება რისკის წარმოშობის ალბათობის და გავლენის დადგენით. ძირითადი დამახასიათებელი რისკებია: შესყიდვების დაგვიანება, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა, კონკურენტუნარიანობის დაქვეითება, კორპორატიული კლიენტების გადინება, პერსონალის დაინფიცირება. ორგანიზაცია აღნიშნული რისკების დონის მინიმუმამდე დასაყვანად ახორციელებს რისკების შემცირების/აღმოფხვრის ღონისძიებების გეგმის შემუშავებას და აღსრულებას.

კომპანიის რისკების მართვის პროცესები მოწმდება, როგორც შიდა, ასევე გარე აუდიტის მიერ, რომელიც ამოწმებს როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ასევე პროცედურებთან შესაბამისობას. კომპანიაში დანერგილია ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მართვის ეფექტურობას, რისკების შეფასების და შემცირების პროცედურების შესრულების პროცესის წარმართვას.

ჩვენს ორგანიზაციაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დაგეგმვისას გაითვალისწინება და განისაზღვრება რისკები და შესაძლებლობები, რომელიც მიმართულია გარანტიისადმი, რომ:

- ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მოგვცემს მოსალოდნელ შედეგებს;
- სრულყოფს სასურველ ეფექტურობას;
- პრევენციას გაუკეთებს, ან შეამცირებს არასასურველ ეფექტებს ორგანიზაციის მიმართ;
- მიაღწევს გაუმჯობესებას.
-

გეგმები

„მედ-დიაგნოსტიკა“ არის განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია. ლაბორატორიის ხელმძღვანელობის მიერ ლაბორატორიის მიერ დადგენილი ხარისხის პოლიტიკის და

სტრატეგიის შესაბამისად ყოველწლიურად იგეგმება ხარისხის და ლაბორატორიული პრაქტიკის გაუმჯობესების პროგრამა მიზნის მიღწევის ღონისძიებებით. თითოეული ღონისძიების ეფექტურობა ფასდება ხარისხის საკოორდინაციო საბჭოს მიერ დადგენილი პერიოდულობით ჩატარებულ ხარისხის თათბირებზე.

ჩვენს გეგმებში შედის ტექნიკური ინფრასტრუქტურის მონიტორინგი და მუდმივი გაუმჯობესება, რაც სამედიცინო მომსახურების რეგულარური ანალიზით შედეგების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. ეს გულისხმობს ავტომატიზირებული სისტემების დანერგვას და ა.შ. მომსახურებაზე ორიენტირებული ეფექტური მიდგომებით პაციენტის/დაინტერესებული მხარის საჭიროების გამოვლენის და კმაყოფილების შეფასების მუდმივი ანალიზი და გაუმჯობესება, კლიენტების რაოდენობის ზრდა წარმოადგენს ჩვენი კომპანიის გეგმას. აღნიშნულ მიზანს ემსახურება დაგეგმილი კონფერენციების, შეხვედრების ჩატარება, ასევე, სხვადასხვა მარკეტინგული კამპანიების ჩატარება ტელევიზიებსა და სოციალურ ქსელებში.

სამედიცინო ლაბორატორიული კვლევების ხარისხის და პროცედურების მუდმივი გაუმჯობესება, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენი ხარისხის იყოს მდგრადი და მუდმივად შეესაბამებოდეს მაღალ სტანდარტებს. ამისთვის კომპანიამ დაისახა მიზნად და ატარებს გეგმიურ და არაგეგმიურ გარე ხარისხის კონტროლის პროგრამებს, სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევის მიმართულებით.

ჩვენი კომპანია მუდმივად ცდილობს ასორტიმენტის გაზრდას და გაუმჯობესებას. გვაქვს მოლაპარაკებები მსოფლიოში წამყვან საუნივერსიტეტო და კვლევით ინსტიტუტებთან. ვგეგმავთ მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დაწყებას და ახალი ინოვაციური კვლევების დანერგვას.


შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი:
ნათია ცაბუტაშვილი

შპს მედ-დიაგნოსტიკას ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური
ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

		31-Dec-22	31-Dec-21
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	<u>8</u>	44,249	1,900,362
მოთხოვნები მიწოდებიდან		3,580,162	7,349,755
გადახდილი ავანსები		14,865	241,970
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	<u>9</u>	572,668	924,823
გაცემული სესხები		1,666,451	959,161
საგადასახადო აქტივი		1,411	0
სხვა მიმდინარე აქტივები		3,330	781
სულ მიმდინარე აქტივები		5,883,137	11,376,852
ძირითადი საშუალებები	<u>6</u>	4,021,270	4,225,860
არამატერიალური აქტივები	<u>7</u>	24,744	32,535
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,046,014	4,258,395
სულ აქტივები		9,929,150	15,635,247
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		429,818	643,798
მიღებული ავანსები		0	1,332
საგადასახადო ვალდებულებები		0	261,688
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		1,190	1,134
მიმდინარე ვალდებულებები		431,008	907,952
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		310,648	1,967,677
გრძელვადიანი ვალდებულებები		310,648	1,967,677
სულ ვალდებულებები		741,656	2,875,630
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		9,187,494	12,759,617
მთლიანი კაპიტალი		9,187,494	12,759,617
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		9,929,150	15,635,247

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი



ნათია გაბუნიძე



შპს მედ-დიაგნოსტიკას მთავარი ბუღალტერი




ვალინა გელოვანი

შპს მედ-დიაგნოსტიკას ინდივიდუალური სრული შემოსავლისა და მოგება-
ზარალის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარებში)

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	11,359,268	31,726,486
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	<u>10</u> -6,195,867	- 10,564,168
Gross profit	5,163,401	21,162,318
ხელფასის ხარჯი	-5,217,288	-5,705,747
მიწოდების ხარჯი	-516,191	-1,783,911
კომუნალური და საოფისე ხარჯები	-226,417	-258,250
საკონსულტაციო ხარჯი	-33,688	-123,876
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები	-152,511	-253,028
ცვეთის ხარჯი	-610,837	-533,199
საგადასახადო ხარჯი	-10,292	-18,701
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	-889,479	-612,406
EBITDA	-2,493,303	11,873,200
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	-65,521	-107,130
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	-42,877	-16,001
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	99,200	-1,236,039
Net profit	-2,502,499	10,514,030
მოგების გადასახადი	-123,291	-211,690
Net profit	-2,625,790	10,302,340

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი

 ნათია გაბუტაშვილი



შპს მედ-დიაგნოსტიკას მთავარი ბუღალტერი


 ვალინა გელოვანი

შპს მედ-დიაგნოსტიკას ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური
ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,090,823	6,310,070
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	14,485,457	25,752,234
გადახდილი მომწოდებლებზე	-5,693,549	-9,898,789
გადახდილი ხელფასები	-5,484,011	-7,005,460
გადახდილი გადასახადები	-2,217,074	-2,537,916
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-996,502	-3,261,959
სესხის გაცემა	-904,008	-1,511,161
გაცემული სესხისა და პროცენტის მიღება	116,000	555,242
ძირითადი საშუალებების შეძენა	-208,494	-2,306,040
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-1,898,565	-2,181,453
მიღებული სესხი	-922,431	-804,869
გადახდილი სესხი და %	-112,412	-236,982
დივიდენდის გაცემა	-863,721	-1,139,601
სავალუტო კურსის ეფექტი	-51,869	-9,750
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	-51,869	-9,750
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-1,856,113	856,907
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,900,362	1,043,454
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	44,249	1,900,362

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი

 ნათია გაბუტაშვილი

შპს მედ-დიაგნოსტიკას მთავარი ბუღალტერი


 ვალინა გელოვანი



შპს მედ-დიაგნოსტიკას კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
31-Dec-19	0	0	0
შენატანები კაპიტალში			
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		3,656,857	3,656,857
გადახდილი დივიდენდი		0	0
31-Dec-20	0	3,656,857	3,656,857
შენატანები კაპიტალში			
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		10,302,340	10,302,340
გადახდილი დივიდენდი		1,199,580	1,199,580
31-Dec-21	0	12,759,617	12,759,617
შენატანები კაპიტალში			
პერიოდის შემოსავალი/გასავალი		-2,625,790	-2,625,790
გადახდილი დივიდენდი		946,332	946,332
31-Dec-21	0	9,187,494	9,187,494

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი

 ნათია გაბუტაშვილი




შპს მედ-დიაგნოსტიკას მთავარი ბუღალტერი

 ვალინა გელოვანი

ჩვენი კომპანია მუდმივად ცდილობს ასორტიმენტის გაზრდას და გაუმჯობესებას. გვაქვს მოლაპარაკებები მსოფლიოში წამყვან საუნივერსიტეტო და კვლევით ინსტიტუტებთან. ვგეგმავთ მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დაწყებას და ახალი ინოვაციური კვლევების დანერგვას.

შპს მედ-დიაგნოსტიკას დირექტორი:
ნათია ცაბუტაშვილი





დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მედ-დიაგნოსტიკას დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მედ-დიაგნოსტიკას ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მედ-დიაგნოსტიკას ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ შპს მედ-დიაგნოსტიკასაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს შპს მედ-დიაგნოსტიკას ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს მედ-დიაგნოსტიკას ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს მედ-დიაგნოსტიკას ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს

ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს მედ-დიაგნოსტიკას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს მედ-დიაგნოსტიკას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მედ-დიაგნოსტიკა უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი

ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე. (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,
ოთარ ახოზაძე
გარიგების პარტნიორი
ხელმოწერა

თარიღი :25.09.2023წწ

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“

